თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2502082

ნომერი: AR1385326

თარიღი : 10.03.2016

გაცემის თარიღი : 25.03.2016

გაცნობის თარიღი : 29.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , "პატარა ვაკე" / ქალაქი თბილისი , გლდანი,პატარა ვაკე ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ბოგვერაძე პ/ნ 01003004973
- თბილისი მუხიანი III მ/რ კორ. 19 ბ. 46

ორგანიზაცია:
- შპს "თორიჯორჯია" კოდი: 200276487

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ №2482761 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ №2482761 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ:

– "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" არ არის მითითებული საპროექტო შენობების ზუსტი ფუნქცია და დანიშნულება. ასევე არ არის მითითებული საპროექტო შენობებს შორის დაცილების მანძილი.

– არ არის წარმოდგენილი საპროექტო შენობების გეგმა ექსპლიკაციით, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნებოდა შემდეგი: I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა.

- არ არის წარმოდგენილი იპოთეკარის სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"–ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე (თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილი თანხმობა გაცემულია სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებაზე და არა ახალი შენობების განთავსებაზე, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ახალი შენობების განთავსება თანხმობა უნდა წარმოდგინოთ უშუალოდ დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების თაობაზე).

ზემოაღნიშნულის და №2482761 15.03.2016წ. გადაწყვეტილების შესაბამისად AR1385326 განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.